საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ქართული ფილოლოგია / Georgian Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Georgian Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია ბაკალავრს ქართული ფილოლოგიის დარგში ჰქონდეს საშუალო განათლებაზე უფრო მაღალი პროფესიული ცოდნა, რაც მას კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე საშუალებას მისცემს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

სწავლის შედეგები:
ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ქართული ლიტერატურისა და ქართველური ენათმეცნიერების დარგებში უნდა შეეძლოს წარმოაჩინოს პროფესიული მიდგომა არსებითი საკითხებისადმი და შეძლოს ამ საკითხებზე კომუნიკაცია როგორც სპეციალისტთა, ისე არასპეციალისტთა წრეში. უნდა ჰქონდეს შეძენილი ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული გააზრების ჩვევები. ასევე ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებში მართებული თეორიული გააზრებისა და პრაქტიკულად სწორი ორიენტირების უნარი.
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით.

- ქართველური ენათმეცნიერების, ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საბაზისო ცოდნა.
- ლიტერატურის თეორიისა და თარგმანის თეორიის საკითხების საბაზისო ცოდნა.
- ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და შუასაუკუნეების მწერლობის ძირითადი პრინციპების საბაზისო ცოდნა.
- XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი ტენდენციების ცოდნა.
- XX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციების საბაზისო ცოდნა.
- ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.
- პროფესიული მიდგომა ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის არსებითი საკითხებისადმი; ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებში მართებული თეორიული გააზრებისა და პრაქტიკულად სწორი ორიენტირების უნარი.
- დარგობრივ სფეროში პროფესიული კითხვისა და დაკვირვების უნარი.
- ანალიზის, პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი შესაბამისი ცოდნის გამოყენებით.
- ლიტერატურის თეორიის, ლიტერატული კრიტიკისა და ტექსტოლოგიის მეთოდების გამოყენების უნარი.
- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად

კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით.
- მონაცემთა ინტერპრეტაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარი.
- ქართული ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.
- საკუთარი შესაძლებლობების შეფასების უნარი.
- დისკუსიებში მონაწილეობისას საკუთარი მოსაზრების დაცვისა და სხვისი აზრის პატივისცემის უნარი.
- ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით (ანალიზი და სინთეზი).
- დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს გეგმის შედგენის, პრიორიტეტების გამოყოფის უნარი.
- დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და ანგარიშის მომზადება ქართულ ენაზე წერილობითი და ზეპირი ფორმით.
- ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაცია როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა წრეში.

დასაქმების სფეროები:
ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, კერძოდ:
- საგამომცემლო საქმიანობა და წიგნის ბაზარი;
- ბიბლიოთეკები და საისტორიო-ლიტერატურული არქივები;
- კულტურის სფეროს დაწესებულებები ადმინისტრაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით;
- მედია და თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობა (მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი).
- ასევე საზღვარგარეთის სახელმწიფო და ბიზნეს დაწესებულებებში მთარგმნელად, რეფერენტად და სხვა.
- მედია და თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობა (მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი).

სწავლის გაგრძელების საშუალება:
ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს ბაკალავრიატში სწავლების პარალელურად აიღოს დამოუკიდებელი, მცირე (ე. წ. მაინორული) საბაკალავრო პროგრამა პედაგოგიკაში და ერთწლიანი პედაგოგიკის სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მიიღოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. გარდა ამისა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს მოემზადოს ქართული ფილოლოგიის დარგში მეცნიერული და უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური მუშაობისათვის სამაგისტრო პროგრამების გავლის გზით. შესაბამისი სამაგისტრო პროგრამები თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე შემდეგია: ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, ლიტერატურის თეორია, ქართველური ენათმეცნიერება ორი მოდულით: ქართული სალიტერატურო ენა და ქართველური ენები; ძველი ქართული ენა და ხელნაწერთმცოდნეობა; ზოგადი, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერება.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: III სემესტრი

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი;

2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ major/minor პროგრამების კომბინაციებს, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისათვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

major	minor
ქართული ფილოლოგია	აღმოსავლეთმცოდნეობა
	ისტორია
	ეთნოლოგია
	პედაგოგიკა
	ფილოსოფია
	ჟურნალისტიკა
	კლასიკური ფილოლოგია

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ქართული ფილოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორები: პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი:
სტუდენტთა სწავლება და მომზადება ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური მიმართულებით ქართველური ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცოდნის შეძენის საფუძველზე.

სწავლის შედეგები:
- ქართველური ენათმეცნიერების, ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საბაზისო ცოდნა.
- ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და შუასაუკუნეების მწერლობის ძირითადი პრინციპების საბაზისო ცოდნა.
- XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი ტენდენციების ცოდნა.
- XX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციების საბაზისო ცოდნა.
- ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.
- დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და ანგარიშის მომზადება ქართულ ენაზე წერილობითი და ზეპირი ფორმით.
- ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაცია როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა წრეში.

დასაქმების სფეროები: დამატებითი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C

61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მე–4 სემესტრში.